საერთაშორისო პოტენციალის მქონე ქართული სტარტაპების განვითარების ფინანსური ფაქტორები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

ლელა ომიანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, ბიზნეს ადმინისტრირების (საბანკო და საფინანსო საქმე) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნეს ადმინისტრირება, საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით გამყრელიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლელა ომიანიძე

18.01.2024

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში, საკმაოდ მნიშვნელოვანია უნიკალური პროდუქტის, ან სერვისის შექმნა და მისი ბაზარზე გატანა, რაც სტარტაპის მთავარი მიზანია. ისინი ცდილობენ სრულიად ახალი თარგი შექმნან. აღსანიშნავია, რომ სტარტაპების სწრაფ ზრდას და განვითარებას, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკაზე.

ნაშრომში განხილულია სტარტაპებზე მოქმედი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, დაფინანსების შესაძლებობები, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორის სტანდარტეგბის მაგალითზე. თუმცა ძირითადად ყურადღება გამახვილებულია საქართველოში დაფუძნეულ სტარტაპებზე და მათი დაფინანსებისა და ინვესტირების საშუალებებზე. ასევე, განხილულია ის საგადასახადო და საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც არსებობს სქართველოს ბაზარზე.

ჩატარებული კვლევის სახითხებს წარმოადგენს, იმის იდენტიფიცირება თუ რა დამოკიდებულებაა ქვეყანაში სტარტაპ ბიზნესების მიმართ, აქვთ თუ არა საერთაშრისო ბაზარზე გასვლის და თავის დამკვიდრების პოტენციალი და რა ფაქტორები მქმედებს ამ ყველაფერზე როგორც დადებითად, ისე უარყოფითად.

ჩატარებული კვლევა ეფუძნება რაოდენობრივსა და თვისებრივ კვლევის მეთოდებს.

კვლევის მიზანია საერთაშორისო პოტენციალის მქონე ქართული სტარაპებზე მოქმედი ფინანსური ფაქტორების იდენტიფიცირება და მათი გავლენის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკაზე.

საბოლოოდ, საკვლევი საკითხი და ჩატარებული კვლევა ემთხვევა ერთმანეთს და დგინდება, რომ საერთაშორისო პოტენციალის მქონე ქართული სტარტაპების განვითარების მთავარ ფინანსური ფაქტორს დაფინანსებს მოპოვების შესაძლებლობა წარმოადგენს.

საძიებო სიტყვები: სტარტაპი, სტარტაპერი, სტარტაპ-ეკოსისტემა, სახელმწიფო პროგრამები, დაფინანსება.

Abstract

In the modern world, it is quite important to create a unique product or service and bring it to the market, which is the main goal of a startup. They are trying to create a completely new model. It should be noted that the rapid growth and development of startups has a significant impact on the country's economy.

Positive and negative factors affecting startups, financing opportunities are discussed in the work, both on the example of Georgian and international standards. However, the focus is mainly on Georgia-based startups and their financing and investment means. Also, the tax and legal regulations that exist in the Georgian market are discussed.

The conducted research is an attempt to identify the attitude towards start-up businesses in the country, whether they have the potential to enter the international market and establish themselves, and what factors affect all this both positively and negatively.

The conducted research is based on quantitative and qualitative research methods.

The aim of the research is to identify financial factors affecting Georgian start-ups with international potential and determine their impact on the country's economy.

Finally, the research question and the conducted research match each other and it is established that the main financial factor for the development of Georgian startups with international potential is the possibility of obtaining financing.

Search words: startup, startuper, startup ecosystem, state programs, financing.